ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4925220001**

თარიღი:**08/08/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მაკა ჭელიძეს შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების, „წყალტუბოს მუნიციპალიტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #36 დადგენილების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“** 2014 წლის 15 ივლისის #22 დადგენილების მესამე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მაკა ჭელიძეს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2025 წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 10 სამუშაო დღე, 2025 წლის 11 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით.

2.კომისიის თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს ამავე კომისიის წევრს ნოდარ ასათიანს.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხის გაცემა.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი